www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 13 სექტემბერი, 2013 წელი. | №3364 (171) | ფასი 50 თეთრი

ვანო მერაბიშვილი: „ხელისუფლება ცივ ნიავს არ მაკარებს„

გუშინ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილისა და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა. საქმე ეხება წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დასაქმების პროგრამას. პროცესს ორივე ბრალდებული დაესწრო. ვანო მერაბიშვილი ქუთაისის საქალაქო სასამართლში საბადრაგო ეკიპაჟმა მიიყვანა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთან, ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესის პარალელურად, მათმა მხარდამჭერებმა, კერძოდ კი ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლებმა აქცია გაიმართა. მათ ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნა გააპროტესტეს.

აქციის ერთ-ერთი მონაწილის, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ კობა ხაბაზის განცხადებით, ისინი ვანო მერაბიშვილის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკური დევნას აპროტესტებენ.

„ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სამართლიან არჩევნებზე, თუმცა ამაზე საუბარი სისულელეა, როდესაც პოლიტიკური პარტიის გენერალური მდივანი პატიმრობაში იმყოფება. ეს არის შერჩევითი სამართალი. გავითვალიწინოთ, რომ ვანო მერაბიშვილი ბრალდებულია 332-ე მუხლით და ამის გამო იმყოფება პატიმრობაში, მაშინ როცა თავისუფლებაში იმყოფებიან ხმალაძის სიძე, ასევე შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და ონოფრიშვილის მეგობარი,“ - განაცხადა კობა ხაბაზმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ხელმისაწვდომი და მიუწვდომელი საჯარო ინფორმაცია

დათო გამისონია

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გუშინ სასტუმრო „რადისონში“, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, ყველაზე გამჭვირვალე და დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა.

კვლევა 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით არის ჩატარებული, რაც, ორგანიზატორთა თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდგომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის და ტენდენციების გაანალიზების საშუალებას იძლევა. როგორც IDFI-ს წარმომადგენელი ლევან ავალიშვილი აღნიშნავს, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემა გაუმჯობესებულია. უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების რაოდენობა 30 პროცენტიდან 11 პროცენტამდე შემცირდა.

IDFI-მ „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ საჯარო დაწესებულებებს სპეციალური სიგელები გადასცა. ჯილდო სამ სამინისტროსა და სახელმწიფო მინისტრის ორ აპარატს გადაეცა. სამეულში შევიდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების და თავდაცვის სამინისტროები. შემდეგ პოზიციას იკავებენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

თურქეთში ანტისამთავრობო დემონსტრაციები განახლდა

თამთა კახაძე

სტამბოლში, ანკარაში, იზმირში, ანთაქიაში და თურქეთის სხვა ქალაქებში 11 სექტემბერს ანტისამთავრობო გამოსვლები განახლდა. ქვეყნის დედაქალაქის თავზე კვლავ გამოჩნდა პოლიციის ვერტმფრენები.

მამაკის რაიონში (ანკარას გარეუბანი), სადაც წინა ღამეს პოლიციამ მანიფესტანტების ბარიკადები დაშალა, კვლავ შეიკრიბა ხალხი. მამაკის მოსახლეობა ფეტულაჰ გიულენის კონსერვატორული სუნიტური მოძრაობის მიერ მეჩეთისა და რელიგიური კომპლექსის აგებას აპროტესტებს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პუტინმა „ნიუ-იორკ თაიმსის„ საშუალებით ამერიკელ ხალხს მიმართა

თამთა კახაძე

სამშაბათს, საღამოს, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საკუთარ ხალხს სირიის თემით მიმართა და შეეცადა, დაესაბუთებინა, რატომ უნდა დაუჭირონ მათ მხარი ქვეყნის ხელისუფლებას სირიაზე შესაძლო სამხედრო დარტყმის შემთხვევაში. ამ მიმართვიდან ზუსტად ერთი დღის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკულ გამოცემა «ნიუ-იორკ თაიმსში“ ამერიკელი ხალხისადმი მიმართვა გამოაქვეყნა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

თავისუფლები და კლასიკოსები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადნენ

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან ერთად ბორჯომში საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებს ეწვია, რომლებიც ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას გადიან.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ბათუმის კინოფესტივალი იწყება

15-22 სექტემბერს ბათუმის საავტორო ფილმების მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება.

კინოფესტივალის ორგანიზატორია ბათუმის ხელოვანთა სახლი «არგანი», ოფიციალური პარტნიორი კი ბათუმის მერია.

BIAFF 2013 კინოფესტივალის პროგრამა შემდეგ კატეგორიებს გვთავაზობს.

- საერთაშორისო კონკურსი - მხატვრული და დოკუმენტური კინოს სექციები
- ახალგაზრდა კინორეჟისორების საკონკურსო სექცია - «აბრეშუმის გზის ქვეყნების კინო» - კავკასიური, ირანული, თურქული, ცენტრალური აზიის ფილმების რეტროსპექტივები
- Meet the Jury - ჟიურის წევრების კინოფილმები
- დიდოსტატთა კოლექცია

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. «მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. გენერალური დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი.

3. გენერალური დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლისა.

4. სსიპ «საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები:

5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;

5.2 CV (როგორც ქაღალდის ვერსია, ასევე, ელექტრონული ფორმატი);

5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.4 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

5.5 სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

5.6 სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

5.7 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო «მაუწყებლობის შესახებ» საქართველოს კანონს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.

6. გენერალური დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" კანცელარიაში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68, 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით. განცხადებები მიიღება ყოველ დღე, სამუშაო დღეებში 09:30 საათიდან 18:30 საათამდე, ხოლო, უქმე და დასვენების დღეებში - 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, პირი არ დარეგისტრირდება კანდიდატად და შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.

8. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

9. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება. გასაუბრების შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული კანდიდატი.

10. მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

11. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არც ერთი კანდიდატის მიერ არ იქნება წარმოდგენილი წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად და სამეურვეო საბჭო გენერალური დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით ღია კონკურსს ხელახლა გამოაცხადებს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

12. წინამდებარე განცხადება და ინსტრუქცია კონკურსის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე. წინამდებარე განცხადება ასევე განთავსდეს გაზეთ „24 საათში".

ემზარ გოგუაძე

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 1992-1995, 1995-1999 და 1999-2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის **გერმანე ფაცაციას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ცრუ განგაში ტელევიზიებში

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში „112"-ში გუშინ, დილით შევიდა.

შსს-ს ინფორმაციით, შეტყობინების მიღებისთანავე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, გამნაღმველები და კინოლოგები სანდრო ეულის ქუჩაზე „რუსთავი 2"-ის შენობასთან გამოცხადდნენ. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით შენობიდან ადამიანების ევაკუაცია მოახდინეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრზე დაცვა დააყენეს. თუმცა გამნაღმელების მუშაობის შემდეგ დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო, შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა და არხის თანამშრომლებიც შენობაში დაბრუნდნენ.

მოგვიანებით, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის" მსვლელობისას 112-ში კიდევ ერთი ანონიმური ზარი გაისმა, რომლის მიხედვით ასაფეთქებელი მოწყობილობა ტელეკომპანია „იმედის" შენობაში იყო მოთავსებული. მოვლენები იგივე სცენარით განვითარდა, ადგილზე შსს-ს და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ, შენობის ევაკუაცია მოხდა, გამნაღმველების მუშაობის შედეგად კი დადგინდა, რომ ნაღმი არც „იმედში" იყო.

შენობაში გამნაღმველების მუშაობის გამო „იმედის" საინფორმაციო სამსახურმა მუშაობა დროებით შეწყვიტა,

„რუსთავი 2"-მა კი ორი საინფორმაციო გამოშვება იმ ალტერნატიული სტუდიიდან გაუშვა, რომელის ტელეკომპანიის ძველ შენობაში მდებარეობს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია არ გამორიცხავს, რომ ტელეკომპანიაში გუშინ განვითარებული მოვლენები გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

გვარამიამ სამართალდამცავებს შეტყობინების ავტორის უსწრაფესად გამოვლენისა და მკაცრად დასჯისკენ მოუწოდა.

„ვაგრძელებთ მუშაობას, პრინციპში, მუშაობა არც შეგვიწყვეტია. როგორც წესი, ჩვენ ბომბები ვერ გვაჩერებს. თუ ეს მიზანმიმართული იყო ვინმესგან, იმედი მაქვს, რომ სამართალდამცავები გამოიკვლევენ და ის ადამიანი მკაცრად დაისჯება, რადგან ეს არ არის მხოლოდ ცრუ შეტყობინება ტერორისტული აქტის შესახებ, ეს არის მედიის შეფერხება და საქმიანობაში ხელშეშლა. ასე რომ, ათმაგად უფრო მძიმეა ის გადაცდომა, რომელიც კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა. იმედი მაქვს, ამ ადამიანს უსწრაფესად გამოავლენენ და სამაგალითოდ დასჯიან, რადგან ეს არა მხოლოდ ჩვენს მედიასაშუალებას ემუქრება," - განაცხადა ნიკა გვარამიამ და დასძინა, რომ ამ შემთხვევამ შეიძლება, სერიული ხასიათი მიიღოს.

გუშინ ტელეკომპანია „რუსთავის 2"-ის საინფორმაციო სამსახურის მთავარი პროდიუსერი გიორგი ლაფერაშვილიც აღნიშნავდა, „რუსთავის 2"-ის საინფორმაციო სამსახურის მუშაობას ვერაფერი შეაჩერებს.

„რაც შეეხება ვარაუდებს, თუ რა შეიძლება მომხდარიყო, მოდით, ამ კითხვას პასუხი სამართალდამცველებმა გასცენ. მაყურებელმა ნახა, რომ კურიერი 12:00 საათზე ეთერში მაინც გავიდა, ცოტა უჩვეულო დეკორაციით, მაგრამ ჩვეული შინაარსით. 15:00 საათზე „კურიერი" ჩვეულად გავა ეთერში, ისევე როგორც სხვა ყველა გამოშვება. მსგავსი ტიპის სურვილები ვიღაცის მხრიდან, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს, თუნდაც რიგითი მაყურებლის მხრიდან, ხელს ვერ შეუშლის ჩვენი საინფორმაციო სამსახურის მუშაობას. სამართალდამცველები იტყვიან, რა და როგორ მოხდა," - განაცხადა გიორგი ლაფერაშვილმა.

ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელ ბაია ცანავას განმარტებით კი, მათ ალტერნატიული შენობა, საიდანაც სრულფასოვანი მაუწყებლობის გაგრძელებას შეძლებენ, არ გააჩნიათ. ამიტომ იძულებულნი გახდნენ, საინფორმაციო სამსახურის მუშაობა დროებით შეეჩერებინათ.

თუმცა მოგვიანებით ტელეკომპანიის რამდენიმე თანამშრომელს შენობაში შესვლის უფლება მისცეს და არხზე სპეციალური საინფორმაციო გამოშვება გავიდა.

„ჩვენთან ზუსტად იგივე სიტუაციაა, რაც „რუსთავი 2"-ში. მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ მიიღეს შეტყობინება ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ და შენობის დატოვება გვთხოვეს," - განაცხადა ბაია ცანავამ.

მისივე თქმით, ეს ან მიზანმიმართული ქმედებაა, ან ბოროტი ხუმრობა.

დიდი იმედი მაქვს, სამართალდამცავები მალე გაარკვევენ ყველაფერს. იმედია, დღესვე დაესმევა წერტილი იმას, რომ ორი არხის მუშაობას ხელი შეეშალა," - განაცხადა ბაია ცანავამ

მას შემდეგ, რაც საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანიის შენობა სრულიად დაათვალიერა, «იმედის» ყველა თანამშრომელს შენობაში შესვლის უფლება მიეცა.

ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ცრუ შეტყობინების ორივე ავტორი დაკავებულია. შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნობით, ორივე მათგანის შეტყობინებიდან რამდენიმე საათში აიყვანეს.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილება აწარმოებს.

სააკაშვილი: „პრემიერ-მინისტრმა დაარღვია ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მიმართა. სააკაშვილის გამოსვლის ძირითადი ხაზი ევრაზიული კავშირის კრიტიკას ეხებოდა.

პრეზიდენტის თქმით, ბოლო 10 წლის განმავლობაში და უფრო ადრეც ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი დასავლეთის მიმართულებით კონსენსუსით სვლის იდეის გარშემო იყო კონსოლიდირებული. როგორც სააკაშვილი აღნიშნავს, ეს იდეა ევროკავშირსა და ნატო-სთან დაახლოებისა და ინტეგრირების უალტერნატივობას გულისხმობდა.

მაგრამ, სააკაშვილი ევრაზიული კავშირის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით შეშფოთებულია. **„პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა და ახლახან გაიმეორა, რომ ევრაზიის კავშირი, რომელიც, როგორც ყველამ იცის და როგორც ამას თავად რუსები განიხილავენ, საბჭოთა კავშირის ახალი ფორმაა და პუტინმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ შექმნეს, რათა ჩვენს რეგიონში ნატო-სა და ევროკავშირის მიმართულებით მიღწეული პროგრესი უკან დახიონ, თურმე არის საკითხი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეისწავლოს, როგორც შესაძლო ვარიანტი. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ამ საკითხზე კიდევ ერთხელ შევიდე პოლემიკაში პრემიერ-მინისტრთან, რომელიც შანსს არ უშვებს, რომ ყველა წვრილმან საკითხზე მექიშპოს და დამეზომოს. ჩვენ ამ თემაზე საუბარი გვქონდა. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ უამრავი რამ არის განსახილველი, ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პირადი პოლემიკის საგანი გახდეს. ფაქტი სახეზეა და უნდა ვაღიაროთ: პრემიერ-მინისტრმა დაარღვია ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ. ეს მისი აბსოლუტური უფლება იყო, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირისა. ახლა, როდესაც ტაბუ დარღვეულია და ეს საკითხი ისევ დებატების საგანია, უფრო გამართლებულია, ეკამათო ადამიანს, რომელმაც ეს ტაბუ დაარღვია. მთავარი ის არია, რომ გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე, რას ნიშნავს ეს დებატი ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი შვილებისა და საქართველოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მომავლისთვის. თავს ნუ მოვიტყუებთ: მიუხედავად ივანიშვილის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებისა, ევროპასა და ევრაზიას შორის არჩევანი არ არის, უბრალოდ, საგარეო პოლიტიკის კონტექსტში გაკეთებული პრაგმატული არჩევანი.**

აქ იმისთვის არ ვარ, რომ ვინმეს თავს დავესხა, არამედ მინდა, თქვენთან განვიხილო, რა ალტერნატივები არსებობს და გავაფრთხილო ხალხი იმის შესახებ, რასთან გვაქვს საქმე," - მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სტუდენტებს.

მიხეილ სააკაშვილი ევრაზიული კავშირის შესახებ საუბრისას ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის უპირატესობაზე. როგორც სააკაშვილი ამბობს, ევროკავშირი შესაძლოა, ხანდახან შორეულ ოცნებად ჩანდეს, მაგრამ დიდ ძალისხმევასა და რეფორმებს, მუდმივ მუშაობას მოითხოვს ის, რომ საქართველომ ევროპელ მეგობრებსა და მოკავშირეებს აუხსნას და დაუმტკიცოს, რომ მისი ადგილი ევროპაშია.

მეორე მხრივ, სააკაშვილის ამბობს, რომ ევრაზიის კავშირი მარტივია. **„პუტინი იქ ხვალვე მიგვიღებს, თუ ასე გადავწყვეტთ, ამის სანაცვლოდ კი ის არც ძალისხმევას მოგვთხოვს და არც დამატებით რეფორმებს. იგი ბედნიერი იქნება, თუკი ამ კავშირში ჩაგვითრევს. ის ამაზე ოცნებობს კიდეც, რამეთუ ამ კავშირის წევრობა ჩვენი ძალისხმევის და რეფორმების სრული დასამარებაა,"** - მიიჩნევს სააკაშვილი.

პრეზიდენტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის პატიმრობას აპროტესტებს და აღნიშნავს, რომ ევროპაში ოპონენტები ტელეგადაცემებში სხედან და არა ციხის უჰაერო საკნებში. გარდა ამისა, როგორც პრეზიდენტი ამბობს, ევროპაში უმცირესობები იტეგრირებულნი არიან და საკუთარი შეხედულებისამებრ „ლოცულობენ ან არ ლოცულობენ". მისივე თქმით, ევროპაში, ქუჩებში ადამიანებს არ ხოცავენ და ხალხი დაცულია. როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, საზოგადოება მერიტოკრატიულია და საკუთარ შრომას, ნიჭიერებას ეფუძნება და არა იმას, „პატრონი ჰყავს თუ არა". **„ჩვენ საზოგადოების იმ ტიპს განვსაზღვრავთ, რომელშიც ცხოვრება გვინდა. ახლა ეს არჩევანი თქვენი გასაკეთებელია. ამისთვის უნდა იბრძოლოთ. თქვენი თაობა გადამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამს. შემიძლია, გითხართ, თეთრი შურით მშურს ყველა იმ ძალისხმევის, რომელიც უნდა გაწიოთ. ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ ამის ალტერნატივა ზედმეტად კატასროფულია - სიბანძე და დაცემულობა, ამ ვითარებაში არც ერთმა ჩვენგანმა მაყურებლის როლი არ უნდა ითამაშოს,"** - მიმართვს სააკაშვილი ახალგაზრდებს.

პრეზიდენტის შეფასებით, ევრაზიული საზოგადოებაა ის, რომ ახლა საქართველოში მართვის მოწმობის „გაკეთება" უკვე 500 ლარად შეიძლება. „გორში, ქუთაისში გაიკითხეთ," - შენიშნავს სააკაშვილი.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. შსს-ში მიაჩნიათ, რომ მსგავსი განცხადება სამართალდამცავი უწყებისთვის შეურაცხმყოფელია და პოლიციის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. შსს პრეზიდენტს მოუწოდებს, სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებებისგან თავი შეიკავოს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ვანო მერაბიშვილი: „ხელისუფლება ცივ ნიავს არ მაკარებს„

პირველი გვერდიდან

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასასამართლო სხდომას „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, ასევე ბრალდებულების მეგობრები და ახლობლები ესწრებოდნენ.

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის განცხადებით, უსამართლობაა, როდესაც მერაბიშვილის საქმეს ქუთაისის საქალაქო სასამართლო იხილავს.

მისი თქმით, ქუთაისის სასამართლო არაფერ შუაშია იმ საქმესთან, რაშიც ვანო მერაბიშვილს ბრალი ედება.

გუშინდელ სხდომაზე მტკიცებულებათა ნუსხის ნაწილის წარმოდგენა მხოლოდ ბრალდების მხარემ შეძლო.

ასევე ცნობილი გახდა, რომ დაცვის მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის საქმეს კვლავ ქუთაისის სასამართლო განიხილავს.

ადვოკატებმა გუშინ სასამართლოს აცილება მოითხოვეს, თუმცა მათი ეს შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ადვოკატები მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მალხაზ გურულის მიერ მიღებული **„მიკერძოებული გადაწყვეტილების საფუძველზე“** ეჭვობენ, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა სასამართლო მიკერძოებული იქნება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა დასავლეთ საქართველოს სასამართლოების აცილება მოითხოვა.

ადვოკატის აღნიშნულ პოზიციას პროკურორი ნათია სონღულაშვილი გამოეხმაურა. მისი თქმით, ერთი პროცენტითაც თუ დავუშვებთ იმის ალბათობას, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ გურულმა გადაცდომა ჩაიდინა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა სასამართლოების მოსამართლეებიც მიკერძოებულნი იქნებიან. აღნიშნულის გამო პროკურორი დაცვის შუამდგომლობას არ დაეთანხმა. საბოლოოდ, შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარემ პროკურორის განცხადება იმის აღიარებად მიიჩნია, რომ გურულმა გადაცდომა დაუშვა. ზურაბ ჭიაბერაშვილმა პროკურორს აცნობა, რომ მისი აღიარება უკვე „ფეისბუქზე“ ატვირთა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა კი ბრალდების მხარეს განუცხადა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას სტრასბურში გაასაჩივრებს და საქმეს აუცილებლად მოიგებს.

ადვოკატების ინფორმაციით, მალხაზ გურული, რომელმაც ვანო მერაბიშვილისთვის მისჯილი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა ძალაში დატოვა, საგამოძიებო პალატის მოსამართლე არ არის და შესაბამისად, ამ საჩივრის განხილვის უფლება არ ჰქონდა.

ვანო მერაბიშვილი კი აცხადებს, რომ მოსამართლე ვაჟკაცი ადამიანია, რადგან მან თავის თავზე დიდი დარტყმა აიღო.

„ჯანმრთელი ცხოვრების წესით ვცხოვრობ და საკანში რომ არ მოვიწყინო, ქუთაისში მიწევს ჩამოსვლა. არ მიკვირს და მივიჩნევ, რომ მოსამართლე ვაჟკაცი ადამიანია, რომელმაც თავის თავზე აიღო დიდი დარტყმა და სხვა მოსამართლეებს თავიდან ააცილა ის ვალდებულება, რომელიც აღებული აქვს. სხვათა შორის, მან სახელიც გაითქვა, რადგან მის სახელსა და გვარს ბევრი დიდი ხნის განმავლობაში ვერც გაიგებდა. მინდა, ვთქვა, რომ ამ პროცესისთვის სერიოზულ მომზადებას აზრი დაეკარგა, რადგან საბოლოოდ ცნობილია შედეგი, რომელიც დადგება, რადგან ბატონი გურული დასავლეთ საქართველოს ყველა სასამართლოს ხელმძღვანელია და ვერც ერთი მოსამართლე ვერ გაუძლებს პრესს ხელისუფლებისგან და, მით უმეტეს, ვერ გაუძლებს ამ პრესინგს, რომელიც თან დაერთვება მისი უშუალო ხელმძღვანელობით. მინდა, გითხრათ, რომ ბატონი გურული დასავლეთ საქართველოს ყველა მოსამართლის უშუალო ხელმძღვანელია,“ - აღნიშნა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, ეს ხელისუფლება საკანში მას ცივ ნიავს არ აკარებს. **„ხელისუფლება ცივ ნიავს არ მაკარებს, მჟავეს, მწარეს არ მაჭმევს, ვყავარ დიეტაზე, ჩემს ცოლს არ უშვებენ და ქალს არ მაკარებენ, ქუთაისში დავყავარ, შეგუებული ვარ, რაც მელოდება და ამ ყველაფერს იუმორით ვუყურებ,“** - განაცხდა მერაბიშვილმა.

ამასთან, ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე პროკურატურის მხრიდან მტკიცებულებათა ნუსხის წაკითხვის გაჭიანურება გააკრიტიკა. როგორც მერაბიშვილმა აღნიშნა, საზოგადოების აბუჩად აგდებაა იმის თქმა, თითქოს ბრალდების მხარემ მის წინააღმდეგ საქმეში 5 ათასამდე მოწმე დაკითხა

როგორც ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, პრაქტიკაში არ არსებობს პრეცედენტი, რომ ამდენი ადამიანი დაეკითხათ.

„ქალებს არ მივაყენებდი შეურაცხყოფას და არ დავიგინებდი, მაგრამ რაც ამდენი არ დაგიკითხავთ, იმდენი შეგეწეროთ,“ - მიმართა ვანო მერაბიშვილმა ბრალდების მხარეს.

ამას პროკურორ ნათია სონღულაშვილის შეშფოთება მოჰყვა. მან მოსამართლეს მიმართა, რომ ვანო მერაბიშვილს შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდოს.

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი 18:00 საათზე დასრულდა. ყოფილი პრემიერი საბადრაგო სამსახურმა თბილისში, ე.წ. მატროსოვოს ციხეში გადაიყვანა. საქმეზე წინასასამართლო სხდომა კი 19 სექტემბრამდე გადაიდო.

როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა ხელისუფლებას მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაესუსტებინა.

„ბრალდების მხარის მიერ მოწმეთა სახელებისა და გვარების 4-საათიანი წაკითხვის შემდეგ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წინასასამართლო სხდომა 19-მდე გადადებულიყო. ეს არის პოლიტიკური ფარსი და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დადგმული სპექტაკლი. ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა მხოლოდ იმიტომ უნდოდათ, რომ პარტია დასუსტებულიყო, რაც მათ რეალურად ვერ მოახერხეს,“ - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ამხანაგობების თავმჯდომარეებს პენსიას არ შეუწყვეტენ

თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა საკითხის განხილვა გუშინ დედაქალაქის მერსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელ ნოე ქინქლაძეს შორის გამართულ შეხვედრაზე გაგრძელდა.

შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებით, ამხანოგობების თავმჯდომარეებს არც პენსია და არც სოციალური მომსახურება არ შეუწყდებათ. საქმე ის არის, რომ მანამდე

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის პენსიის შეჩერების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა. „ისტერიული შოუ, რომელიც თბილისი მერმა მოაწყო, თითქოს ამხანაგობების თავმჯდომარეებს პენსიებისა და სხვა სუბსიდიების დაკარგვა ემუქრებათ, სიცრუეა,“ - ამბობდა შიხიაშვილი.

გიგი უგულავასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ნოე ქინქლაძემ განაცხადა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც პენსია შეუწყდათ, სააგენტოს უნდა მიმართონ, რათა მათთვის პენსიის აღდგენა შესაძლებელი იყოს. მერია და საკრებულო იმისთვის იმუშავებენ, რომ მომავალში კანონმდებლობაში ჩანაწერი გაჩნდეს, რომელიც ასეთ შეწყვეტას გამორიცხავს.

გიგი უგულავას ამბობს, რომ მერია მკაცრ მონიტორინგს ანარმოებს და საადვოკატო დახმარებას გაუწევს ყველა იმ ამხანაგობის თავმჯდომარეს, ვისაც პენსიის ან სოციალური დახმარების აღდგენის შესახებ განაცხადი აქვს გაკეთებული. როგორც უგულავა ამბობს, სამომავლოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ახალი წესი შემუშავდება, რომელსაც საკრებულო დაამტკიცებს. ამ საკითხზე, უგულავას თქმით, კონსულტაციები და მუშაობა დაწყებულია. **„გადაწყვეტილებაში მკაფიოდ ჩაიწერება, რომ ამ მიმართულებით მიღებული წახალისება არ შეიძლება საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებულ საქმიანობად შეფასდეს,“** - განმარტავს უგულავა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისელების“ თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ ამხანაგობათა წახალისების ახალი ვარიანტი გუშინვე წარმოადგინა. **„ჩვენი წინადადებაა, რომ ყველა ამხანაგობამ საკუთარი ფონდი შექმნას, ამხანაგობის მინიმალური საწევრო დააწესონ და იმ შემთხვევაში, თუკი თვითმმართველობა ამხანაგობის დახმარებას გადაწყვეტს, ეს თანხა არა ამხანაგობის თავმჯდომარის პირად, არამედ ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხოს. ამხანაგობა თავად გადაწყვეტს, ეს თანხა რაში გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, როგორც ამხანაგობის წევრების, ისე თავმჯდომარის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა გაიზრდება,“** - აღნიშნავს ზუმბაძე.

საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავას მიაჩნია, რომ ამხანაგობის საკითხი ხელოვნურად არის პოლიტიზებული. **„ვხედავთ, რომ ამ საკითხში ამხანაგობების თავმჯდომარეებზე მეტად უგულავა აქტიურობს. უგულავას და ამხანაგობის თავმჯდომარეებს ვთხოვ, შეირგონ ის, რაც 9 წლის განმავლობაში გააკეთეს. ამ საკითხის ძიების შედეგად მერია მოგებული ნამდვილად არ დარჩება,“** - ამბობს კუკავა.

საკუთარი ინფორმაცია

ხელმისაწვდომი და მიუწვდომელი საჯარო ინფორმაცია

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს, ჯილდო გადაეცათ შსს-ს აკადემიას, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრს და სხვ.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია IDFI-ს მადლობას უხდის ჯილდოს გადაცემისთვის. **„ეს ჩენთვის დიდი სტიმულია. შარშან ჩვენი სტრუქტურა ყველაზე ოროსნების კატეგორიაში იყო, როგორც ყველაზე გაუმჭვირვალე. წელს კი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში დიდი მიღწევისთვის დაგვაჯილდოვეს. ჩვენ მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულნი ვართ, რაც მთავრობის პოლიტიკის ხორცშესხმაა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ უწყებისთვის გამოყოფილი თითოეული თეთრი ჯარისკაცს ხმარდება,“** - თქვა ირაკლი ალასანიამ.

ლევან ავალიშვილის ინფორმაციით, შედარებით ცუდი შედეგები აქვთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობის კანცელარიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუმცა, ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიას დაუფიქსირდა, რომელსაც „2012-2013 წლების ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების“ სერტიფიკატი გადაეცა. ხოლო, ნომინაციაში „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისთვის“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ასევე ბოლნისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობებმა „გაიმარჯვეს.“ ცხადია, ამ ჯილდოების მისაღებად არავინ გამოცხადებულა.

კვლევის პრეზენტაციას, საუკეთესო შედეგების მქონე სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. მისი შეფასებით, ნორმალურია, რომ ვიღაცას ინსტრუქციები კარგად აქვს შესრულებული, ხოლო ვიღაცას - ნაკლებად. პრემიერის მტკიცებით, გამჭვირვალობის პრობლემა დღევანდელ მთავრობაში არ არსებობს - მათ შორის, არც შსს-ში და არც კანცელარიაში.

როგორც ივანიშვილმა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ხალხმა უნდა გაიაზროს, რომ მთავრობას თავად ქირაობს, მთავრობა კი ვალდებულია, ხალხს ემსახუროს და მის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს. **„ჩემთვის, როგორც მთავრობის მეთაურისთვის, მეტად სასიხარულო და საამაყოა უდავო წინსვლა ამ სფეროში, ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც არჩევნების შემდეგ ამ ანალიზმა გამოავლინა. სწორედ ეს არის მთავარი - ჩვენს მთავრობას, ჩვენს გუნდს დასამალი არაფერი აქვს, ჩვენი მუშაობის გამჭვირვალობაზე ციფრები თავად მეტყველებს. ეს მონაცემები გვახარებს იმიტომ, რომ ჩვენი ამოცანაა, ქვეყანა დემოკრატიული განვითარების ისეთ გზაზე გავიყვანოთ, რომლიდან გადახვევაც სამომავლოდ ადვილი აღარ იქნება. ეს არის გზა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი გაძლიერებისკენ, სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა ჩართულობისკენ, რომლის გარეშეც დემოკრატიულ მმართველობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვფიქრობ, ეს არის საწინდარი იმისა, რომ ხალხი მიაღწევს მიზანს - შექმნის თავისუფალ, ძლიერ, ქმედუნარიან, პასუხისმგებლობით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოებას და არც ერთ ხელისუფლებას აღარ მისცემს საზოგადოების ინტერესების შელახვის უფლებას. ყველას კარგად მოეხსენება, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელი საზოგადობის წინაშე ანგარიშვალდებულებაა, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში ბოლო წლებში ინფორმაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას განაპირობებს. მოგეხსენებათ, რომ გაცილებით ადვილია ისეთი ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი, რომელიც ღიად მუშაობს და შესაბამისად მცირდება ალბათობა იმისა, რომ მოხელეები ძალაუფლებით ბოროტად ისარგებლებენ,“** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც მთელ რიგ უწყებებს, ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის შემუშავება დაევალათ. როგორც ივანიშვილი ამბობს, მთავრობამ იმ საჯარო ინფორმაციის ნუსხა დაამტკიცა, რომელიც შესაბამისმა საჯარო დაწესებულებებმა ვებგვერდზე პერიოდულად უნდა გამოაქვეყნონ, რაც მთავრობის კონტროლის კიდევ ერთი საშუალებაა. **„ყოველივე ეს დემოკრატიულ ქვეყნებში აპრობირებული და წარმატებული მეთოდია და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის მიჩნეული,“** - აღნიშნა ივანიშვილმა. მისი თქმით, ამავე მიზანს ემსახურება „ღია მმართველობის“ ფარგლებში მთავრობის წევრთა პერიოდული ანგარიშები.

ღონისძიების ფარგლებში დისკუსია გაიმართა, სადაც ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის შესახებ ისაუბრა. სტატიის მიხედვით, ბათუმობის დღესასწაულისთვის აჭარის მთავრობამ სოლიდური თანხა დახარჯა.

ბიძინა ივანიშვილი ქორიძეს ეთანხმება და სამინისტროების ღონისძიებებზე მოწყობილი სუფრების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. **„სხვადასხვა სამინისტროებში ბევრ პრეზენტაციას დავესწარი და ვნახე, რომ სუფრებისთვის ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ამის შესახებ ხმამაღლა აქამდე არ მისაუბრია. ამ მიზნით ფულის ხარჯვა დღევანდელი რეალობისთვის შესატყვისი არ არის. ყველა სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, თუ რა დღესასწაულია, ამხელა თანხები არ უნდა დახარჯოს. არ შეიძლება, დღესასწაული აუცილებლად ღრეობად გადაიქცეს,“** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

პრობლემატურ საკითხად პრემიერ-მინისტრი ინფორმაციის ინ ნაწილსაც ასახელებს, რომელსაც ყოფილი ხელისუფლების პირობებში გრიფი საიდუმლო ედო.

როგორც ივანიშვილი ამბობს, 5 სექტემბერს მთავრობის სხდომაზე გრიფი საიდუმლო მოეხსნა სახელმწიფოსა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის „ტელეიმედის“ საკითხზე გაფორმებულ ხელშეკრულებას. **დოკუმენტი რომ ვნახე, თმები ყალყზე დამიდგა, მას მთავრობის მხრიდან შინაგან საქმეთ სამინისტრო აწერს ხელს. შინაარსს ბოლომდე ვერ გეტყვით, ახლა ხელშეკრულება პრეზიდენტის ადმინისტრაციაშია გადაგზავნილი, მაგრამ მასში ისეთი რამ წერია, რასაც სახელმწიფო არ უნდა აკეთებდეს,“** - ამბობს ივანიშვილი. პრემიერის პირობას იძლევა, რომ ახალ მთავრობაში მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებებია დაგეგმილი. ფარაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრ თინა ხიდაშელის თქმით, დასრულებულია მუშაობა ცვლილებების პაკეტზე, რომლის მიხედვით, რამდენიმე კანონში შესწორებების შეტანაა დაგეგმილი. ხიდაშელის თქმით, 9 წლის განმავლობაში კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებები შედიოდა, რომელთა შედეგადაც სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღება შეუძლებელი ხდებოდა. თინა ხიდაშელი აღნიშნავს, რომ არასასურველი კანონმდებლობის მიუხედავად, დღეს პოზიტიური ტენდენცია გამოჩნდა.

„თუ დღევანდელ ვითარებას კანონსაც შევაშველებთ, ეს იქნება გარანტია იმისა, რომ პროცესი პროგრესისკენ წავა. მთავარი ამოცანაა, საჯარო ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს. ინტერნეტის სამყაროში მუდმივად ფოსტის იმედზე არ უნდა ვიყოთ. საჯარო დაწესებულებებმა ვებგვერდზე დოკუმენტაცია მიმართვის გარეშეც უნდა გამოაქვეყნონ. ამასთან, საჯარო ინფორმაცია საიდუმლოებისგან მაქსიმალურად უნდა განვტვირთოთ,“ - აღნიშნავს თინა ხიდაშელი.

ხიდაშელი კიდევ ერთ თემას შეეხო, რაც პრემიერისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. პარლამენტარი სამოქალაქო სექტორს მოუწოდებს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით მომავალ წელსაც იაქტიუროს. თინა ხიდაშელის აზრით, დღეს სამინისტროების მიერ გაცემული ინფორმაცია, ძირითადად, მათი წინამორბედების საბიუჯეტო ხარჯებსა და საქმიანობას ეხება, რაც მოქმედ ხელმძღვანელებს ინფორმაციის გაცემისას არათუ არ აფერხებთ, არამედ ამ ინფორმაციის გასაჯაროებით დაინტერესებულებიც კი არიან. ხოლო, მომავალ წელს, როგორც ხიდაშელი ამბობს, საჯარო ინფორმაცია სწორედ მოქმედი მინისტრების საქმიანობისა და საბიუჯეტო ხარჯების ამსახველი იქნება, რომლის გაცემაც მთავრობისთვის ტესტი გახდება.

ხიდაშელს საუბარი პრემიერ-მინისტრმა შეაწყვეტინა. მას მიაჩნია, რომ მთავრობა გამჭვირვალედ მუშაობს და საკითხის ამ კუთხით დაყენება არასწორია.

მოგვიანებით, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი ხუციშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ 2013 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით გაუმჯობესების ტენდენციაა, მაგრამ საზოგადოება არ უნდა მოდუნდეს, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის ახალი ხელისუფლება იმ ინფორმაციას გასცემს, რომელიც წინა ხელისუფლების საქმიანობას ეხება. **„ტენდენციის შესანარჩუნებლად საჭიროა, არასამთავრობო სექტორი მობილიზებული იყოს,“** - მიიჩნევს ქეთი ხუციშვილი.

«ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული რეაქტორი გააააქტიურა"

თანამგზავრიდან მიღებული ფოტოებიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ კორეამ იონბიონის დაკონსერვებული ბირთვული რეაქტორი გააააქტიურა, - ამის შესახებ ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ანალიტიკური ცენტრი აცხადებს.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ერთ-ერთ ფოტოზე თეთრი ორთქლი ჩანს, რომელიც ბირთვული რეაქტორის შენობიდან ამოდის და რეაქტორის ამუშავებაზე ან ასამუშავებლად მომზადებაზე მეტყველებს. «ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ აპრილში გამოაცხადა, რომ ერთ-ერთი რეაქტორის გააქტიურებას აპირებენ, რომელსაც წელიწადში, დაახლოებით, 6 კგ პლუტონიუმის წარმოება შეუძლია, აღნიშნული კი ბირთვული იარაღის დასამზადებლად გამოიყენება.

ანალიტიკოსთა გათვლით, ჩრდილოეთ კორეა ამ დროისათვის ოთხიდან ათამდე ბირთვულ იარაღს ფლობს; ამ იარაღისთვის პლუტონიუმი იონბიონის ბირთვულ რეაქტორიდან მიიღეს, რომელიც 2007 წლის ივლისში დახურეს.

ჩრდილოეთ კორეის შესახებ მომზადებული მოხსენების ავტორი ჯეფრი ლიუსი აღნიშნავს, რომ «რეაქტორი ან უკვე მუშაობს, ან უახლოესი დღეების განმავლობაში ამუშავდება."

ნავალნიმ არჩევნების შედეგები სასამართლოში გაასაჩივრა

ოპოზიციონერმა ალექსეი ნავალნიმ ქალაქის მერის არჩევნების შედეგები სასამართლოში გაასაჩივრა. ნავალნიმ, საკუთარ იურისტთან ერთად, სარჩელი ხუთშაბათს, დილით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში შეიტანა.

8 სექტემბრის არჩევნებში მოსკოვის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი სობიანინმა ხმათა 51 პროცენტით გაიმარჯვა; ალექსეი ნავალნიმ კი ხმების 27 პროცენტი მიიღო. ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ სობიანინმა გამარჯვება გაყალბების გზით მოახერხა.

ირანში აკრძალულ კინოცენტრს მუშაობის განახლების ნება დართეს

ირანის ხელისუფლებამ კინემატოგრაფიის ცნობილ ცენტრს, რომელიც 20 თვის წინ დახურეს, მუშაობის განახლების ნება დართო.

როგორც აღნიშნავენ, ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის შედარებით ლიბერალურ შეხედულებებზე მიუთითებს. ცენტრი, რომელთანაც ქვეყანაში ცნობილი რეჟისორები თანამშრომლობდნენ, 2012 წლის დასაწყისში დახურეს.

ევროპარლამენტმა რუსეთი «აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებზე ზეწოლაში დაადანაშაულა

ევროპარლამენტმა ხუთშაბათს სტრასბურგში გამართულ პლენარულ სესიაზე რეზოლუცია მიიღო, რომელშიც რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლაშია დადანაშაულებული.

რეზოლუციაში მითითებულია, რომ ევროკავშირის «აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამის ქვეყნებზე მსგავსი ტიპის ზეწოლა დაუშვებელია. ამ პროგრამაში ისეთი ქვეყნებია შესული, როგორებიც არის საქართველო, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი და მოლდავეთი.

«რუსეთის ფედერაციამ თავი უნდა შეიკავოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე ზეწოლისგან და პატივის სცეს მათ სუვერენულ უფლებას, თავად გააკეთონ პოლიტიკური არჩევანი,» - ნათქვამია რეზოლუციაში.

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკაში ევროკომისარმა შტეფან ფულემ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ «აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების მიმართ რუსეთის ქმედება საერთაშორისო პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ამერიკელი ჯიჰადისტი სომალიში მოკლეს

ამერიკაში დაბადებული ისლამისტი ომარ ჰამიმი, რომლის შესახებ ინფორმაციაშიც ამერიკა 5 მილიონ დოლარს იხდიდა, სომალიში შეიარაღებულ მებრძოლებთან ურთიერთსროლების დროს დაიღუპა.

ჰამიმი ალ-ამრიკის სახელით იყო ცნობილი, რაც არაბულად ამერიკელს ნიშნავს. იგი ალაბამას შტატში დაიბადა და სომალიში მებრძოლ ყველაზე ცნობილ უცხოელად მიიჩნეოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ჰამიმი და ბრიტანელი წარმოშობის უსამა ალ-ბრიტანი ხუთშაბათს სომალიში მათ რაზმსა და «ალ შაბაბის" მებრძოლებს შორის მომხდარი შეტაკებისას მოკლეს. ჰამიმი ადრე თავად იყო გაწევრიანებული «ალ შაბაბის" რიგებში, რომელსაც «ალ ქაიდასთან" აქვს კავშირი, თუმცა უცნობი მიზეზის გამო შემდგომში მათთან კავშირი გაწყვიტა.

«ამ დილით ალ-ამრიკს და მის თანამებრძოლს კარგად შეიარაღებული მებრძოლები დაესხნენ თავს," - აღნიშნა სომალის სოფელ ბაატის მკვიდრმა ჰუსეინ ნურმა.

ბაღდადის მეჩეთთთან აფეთქებებს 33 ადამიანი ემსხვერპლა

ბაღდადის შიიტურ მეჩეთთან მომხდარ ორ აფეთქებას, ადგილობრივი პოლიციის ცნობით, სულ მცირე, 33 ადამიანი ემსხვერპლა და 55 დაშავდა.

თვითმხილველების თქმით, თავდაპირველად მეჩეთთან მდგარი დანაღმული მანქანა აფეთქდა, ამის შემდეგ კი აფეთქებული მანქანის ირგვლივ შეკრებილი ხალხის ტალღაში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა.

მოამზადა თამთა კახაძემ

თურქეთში ანტისამთავრობო დემონსტრაციები განახლდა

პირველი გვერდიდან

დაძაბული ვითარებაა იზმირსა და ანთაქიაში. ამ ქალაქებში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა დემონსტრანტების დასაშლელად უკვე ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. ამასთან, მანიფესტანტები კვლავ ანტისამთავრობო ლოზუნგებს სკანდირებენ - ისინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის გადადგომას ითხოვენ.

დემონსტრაცია გაიმართა სტამბოლში, სადაც საღამოს ათასობით ადამიანი კადიკეის მოედანზე შეიკრიბა. შეკრებილები 22 წლის აჰმეთ ატაკანის სიკვდილს აპროტესტებდნენ. ატაკანი ივნისში გამართულ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობდა. ამ ახალგაზრდის დაღუპვის შესახებ გავრცელებული ერთი ვერსიით, იგი საცხოვრებელი სახლის სახურავიდან გადმოვარდა, მეორე ვერსიით კი - დემონსტრაციის დროს მას პოლიციის ცრემლსადენი გაზის बალონი თავში მოხვდა და 10 სექტემბერს თავის ტვინის ტრამვით გარდაიცვალა. ქუჩაში გამოსული დემონსტრანტები კედლებზე წერენ: „მკვლელო პოლიციელებო, გაეთრიეთ!"

ივნისში დემონსტრაციები თავდაპირველად სტამბოლის ცენტრში მდებარე გეზის პარკში სავაჭრო კომპლექსის მშენებლობის პროტესტით დაიწყო. თუმცა, ეკოლოგების მიერ დაწყებული მშვიდობიანი აქცია მალევე მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში გადაიზარდა. დემონსტრაციები სხვა ქალაქებსაც მოედო, სადაც პრემიერის გადაყენებას მოითხოვდნენ. დემონსტრანტები რეჯეპ ტაიპ ერდოღანს ქვეყნის ავტორიტარული მეთოდებით მართვაში ადანაშაულებდნენ. ივნისის გამოსვლების დროს ქვეყნის მასშტაბით ასობით მოქალაქე დააპატიმრეს. დემონსტრაციებს ექვსი ადამიანი ემსხვერპლა. თურქეთის პრემიერმა ამ გამოსვლების ორგანიზებაში უცხოეთში მყოფი ძალები და ქვეყნის ოპოზიციური პარტიები დაადანაშაულა.

პუტინმა „ნიუ-იორკ თაიმსის" საშუალებით ამერიკელ ხალხს მიმართა

პირველი გვერდიდან

მიმართვაში პრეზიდენტი შეეცადა, ამერიკელი ხალხი სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების «უგუნურებაში" დაერწმუნებინა.

დასაწყისში პუტინი მიუთითებს, რომ მიმართვის ეს ფორმა რუს და ამერიკელ ხალხს შორის «არასაკმარისი კომუნიკაციის გამო" აირჩია.

პრეზიდენტს არც ისტორიის გახსენება დავიწყებია. მან მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის პერიოდებში ზესახელმწიფოთა ურთიერთობაზეც გაამახვილა ყურადღება. ასევე, აღნიშნა, რომ დიდი სურვილი აქვს, გაერომ ერთა ლიგის ბედი არ გაიზიაროს. ეს კი, პრეზიდენტის აზრით, სრულიად შესაძლებელია, თუ სირიაზე სამხედრო დარტყმა უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე განხორციელდება. ცნობისათვის - გაერო-ს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი ჩინეთი და რუსეთის სირიის რეჟიმის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას ბლოკავენ.

პუტინის აზრით, სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევა ძალადობის გამწვავებას ხელს შეუწყობს და ტერორიზმის ახალ ტალღას გააძლიერებს. რუსეთის პრეზიდენტი ამერიკას აფრთხილებს, რომ სირიაზე პოტენციური დარტყმის შემთხვევაში სირიის კონფლიქტი ქვეყნის საზღვრებს გასცდება. «ნიუ-იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში პუტინი ასევე წერს, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაზე ეჭვი არავის ეპარება, თუმცა აქვს მიზეზი, ივარაუდოს, რომ ეს ოპოზიციამ მოაწყო, რათა კონფლიქტში დასავლეთის ქვეყნები ჩარეულიყვნენ. პრეზიდენტს ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში დასავლეთის ძალების ჩარევის მაგალითები მოჰყავს და ამ ქვეყნებში უცხოეთის ჯარების შეყვანას «უაზრობას" უწოდებს.

პუტინი აცხადებს, რომ თუ სირიის კონფლიქტში ჩარევა არ მოხდება, ეს საერთაშორისო ურთიერთობების ატმოსფეროსაც გაუმჯობესებს და ამ ორი ქვეყნის ურთიერთნდობასაც.

პუტინის ამ წერილს, ცხადია, თეთრი სახლის წარმომადგენლებიც გამოემხაურნენ და «სრულიად შეუსაბამო" უწოდეს.

ცნობისათვის - 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს, სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ქიმიური იარაღის გამოყენებას, 1429 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვები და ქალები. ამის შემდეგ ამერიკამ აქტიურად დაიწყო საუბარი სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე. ცოტა ხნის წინ კი რუსეთმა ახალი ინიციატივა წარმოადგინა, რომელიც სირიის რეჟიმის მეთვალყურეობის ქვეშ არსებულ იარაღზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას ითვალისწინებს. ამის შემდეგ ამერიკა ცდილობს, ამ გეგმის რეალურობაში დარწმუნდეს, შედეგად კი შესაძლოა, სირიაზე დარტყმა გადაიფიქროს კიდეც.

მოსკოვის ინიციტივის განსახილველად გუშინ, 12 სექტემბერს, ჟენევაში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ერთმანეთს შეხვდნენ. წინა დღეს კი, 11 სექტემბერს, სირიის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოში ხუთი მუდმივი წევრის შეხვედრა გაიმართა. თუმცა, საათნახევრიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ დელეგაციების წევრებს პრესასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე მოსკოვის ინიციატივა განიხილეს. ცნობისათვის - დიდი ბრიტანეთი, ამერიკა და საფრანგეთი ისეთი რეზოლუციის შემუშავებას ცდილობენ, რომელიც სირიის მთავრობას ყველა პირობის შესრულებას აიძულებს, თუმცა რუსეთი მხარს უჭერს ისეთი დოკუმენტის მიღებას, სადაც სირიამ ყველა პირობა ვალდებულების გარეშე უნდა შეასრულოს. რუსეთი საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ პროექტში გაერო-ს წესდების მე-7 მუხლის ამოქმედებას ეწინააღმდეგება, რომელიც გულისხმობს ძალის გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ სირია ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ გეგმით გათვალისწინებულ რომელიმე პირობას არ შეასრულებს.

ამერიკის კონგრესს სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ამ კვირაში უნდა მიეღო, თუმცა პრეზიდენტ ობამას თხოვნით, ხმის მიცემა გაეროს უშიშროების საბჭოში დაგეგმილი განხილვის შემდეგ გაიმართება. გამოცემა «კომერსანტი" კი იუწყება, რომ ამერიკის სენატმა ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა, სირიაზე დარტყმა 45 დღით გადადოს, რათა მოსკოვის ინიციატივას რეალიზების შესაძლებლობა მისცენ. «კომერსანტისთვის" ასევე ცნობილი გახდა მოსკოვის გეგმის დეტალები - ყველაფერი რამდენიმე ეტაპად მოხდება: თავდაპირველად სირია ქიმიური იარაღის ამკრძალავ ორგანიზაციას მიუერთდება, ამის შემდეგ დამასკო ქიმიური იარაღის შენახვის ადგილს გამოაცხადებს, რის შემდეგაც ამ ადგილებში საერთაშორისო ორგანიზაციის ინსპექტორებს დაუშვებს. მეოთხე ეტაპზე კი სირიის ხელისუფლება ინსპექტორებთან ერთად გადაწყვეტს, თუ როგორ განადგურდეს ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღი.

სირიის ქიმიურ იარაღის შესახებ რუსეთის გეგმას ისრაელიც გამოეხმაურა. ქვეყნის სტრატეგიული საქმეების მინისტრმა იუვალ შტეინიცმა აღნიშნა, რომ მოსკოვი გარანტორი უნდა იყოს, «რათა სირია ქიმიური იარაღისგან სრულიად გაიწმინდოს."

12 სექტემბერს სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა რუსული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქიმიური იარაღის საკითხზე შეთანხმების მოსამზადებლად გაერო-ს დოკუმენტებს გადაუგზავნიან. ასადმა ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის ქიმიურ იარაღს საერთაშორისო კონტროლს რუსეთის თხოვნით დაუქვემდებარებს და არა ამერიკისგან შესაძლო დარტყმის შიშით.

სირიის ოპოზიცია კი რუსეთის ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მათ ამის შესახებ განცხადება ინტერნეტით გაავრცელეს.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 100 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

იაპონელები ფრანგულ გამოცემაში დაბეჭდილი „ფუკუშიმას" კარიკატურით გაღიზიანდნენ

თამთა კახაძე

იაპონელებმა ფრანგულ გამოცემაში დაბეჭდილი კარიკატურა გააპროტესტეს, რომელზეც ატომურ ელექტროსადგურ «ფუკუშიმა 1"-ის წინ იაპონელი სუმოისტების შეხვედრაა გამოსახული, ქვეშ კი მინაწერი აქვს: „ფუკუშიმას წყალობით სუმო ახლა ოლიმპიურ თამაშად მიიჩნევა."

ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებს ტოკიო უმასპინძლებს, მანამდე კი იაპონიამ ყველაფერი იღონა, რათა ეჩვენებინა, რომ 2011 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ატომური ელექტროსადგური საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ქვეყნის მთავრობის მტკიცებით, «ფუკუშიმა 1"-ში წყლის გაჟონვის პრობლემა კონტროლს დაექვემდებარა და აღნიშნული ოლიმპიური თამაშებზე არ იმოქმედებს.

იაპონელი ოფიციალური პირების თქმით, ფრანგულ სატირულ ჟურნალ Le Canard Enchaine-ში («დაბმული იხვი") დაბეჭდილი კარიკატურა იაპონიის შესახებ უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის. იაპონია იმის გამო გაღიზიანდა, რომ ქვეყნის მიერ გადატანილი ეს კრიზისი კარიკატურის საგანი გახდა: „მსგავსი ტიპის სატირული ფოტოები კატასტროფის მსხვერპლთ აყენებს შეურაცხყოფას," - განაცხადა ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელმა იუშიჰიდე სუგამ.

მისი თქმით, ქვეყნის მთავრობა ფრანგულ ყოველკვირეულ გამოცემაში დაბეჭდილ კარიკატურას ოფიციალურად გააპროტესტებს.

თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ფრანგული მედია «ფუკუშიმას" შესახებ «ხუმრობს." ადრე ტელეარხ France 2-ზე იაპონიის ეროვნული ნაკრების მეკარის ეიჯი კავაშიმას ფოტო აჩვენეს, სადაც მეკარეს, თითქოს «ფუკუშმას ეფექტით", ოთხი ხელი აქვს. მოგვიანებით ტელეარხმა ამ გადაცემის გამო სინანული გამოთქვა, ქვეყნის საგარეო საქმთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა კი ბოდიში მოიხადა.

ცნობისათვის - 2011 წელს იაპონიაში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ქვეყნის ელექტროსადგური «ფუკუშიმა-1" დააზიანა, რის გამოც ათი ათასობით ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა. ამასთან, ზოგიერთი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, იაპონიაში სატირა ფართოდ არ არის მიღებული.

ბათუმის კინოფესტივალი იწყება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

2013 წლის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნება დაახლოებით 40 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი 24-25 ქვეყნიდან და 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი ახალგაზრდული კინოს სექციაში. მოწვეული იქნებიან სტუმრები ევროპიდან, აშშ-დან, პოსტ-საბჭოთა სივრციდან

BIAFF 2013 კინოფესტივალის კინოჩვენებები მიმდინარეობს შემდეგ დარბაზებში:

- კინოთეატრი „აპოლო“ - მემედ აბაშიძის ქ. 17

- ბათუმის თოჯინების თეატრი - მემედ აბაშიძის ქ. 49

- კინოჩვენებები ღია ცისქვეშ დიდ ეკრანზე - ბათუმის ბულვარის ცენტრალურ ადგილას

კინოჩვენებებზე დასწრება უფასოა. კინოთეატრ „აპოლოში“ (სადაც მიმდინარეობს ძირითადი პროგრამის ფილმების ჩვენება) კინოსეანსებზე დასწრებისთვის აუცილებელია წინასწარ უფასო ბილეთების (რაც კონტროლის და ადგილების დაჯავშნის მექანიზმია) აღება კინოთეატრ „აპოლო“-ში. შესაძლებელია ასევე ცალკეულ კინოჩვენებებზე ადგილების დაჯავშნა ინტერნეტით.

კინოსეანსზე დასწრებისთვის აუცილებელია, რომ მაყურებელი დარაბაზში იყოს პროგრამაში მითითებულ დრომდე 5 წუთით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთი ანულირებული იქნება და ის ადგილი შეიძლება დაიკავოს რიგში მდგომმა სხვა მაყურებელმა.

გახსნის და დახურვის ცერემონიაზე დასწრება ხდება მხოლოდ მოსაწვევებით. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა მასტერკლასები, რომელზეც დასწრება ასევე თავისუფალია. მასტერკლასების პროგრამა შემდეგნაირია:

ალექსანდერე რეხვიაშვილი, ბაადურ წულაძე (საქართველო), მარგარიტა კასიმოვა (ბელორუსია) - მასტერკლასი მოკლემეტრაჟიან კინოსთან დაკავშირებით

18 სექტემბერი, 12.00-14.30

ადგილმდებარეობა: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

მარინა რაზბეშკინა (რუსეთი) - CAUCADOC-ის მიერ წარმოდგენილი მასტერ კლასი დოკუმენტურ კინოში

18 სექტემბერი, 15.00-18.00

ადგილმდებარეობა: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

ჯიმ სტარკი (აშშ) - მასტერ კლასი - პროდიუსინგი

19სექტემბერი, 12.00-14.30

ადგილმდებარეობა: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

ჯოი ბოიდი - PINK FLOYD პირველი პროდიუსერი

20 სექტემბერი, 15.00-18.00

ადგილმდებარეობა: სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმის კონფერენს დარბაზი

მასტერკლასი - Joe Boyd ისაუბრებს 60-70-იანი წლების ლონდონის მუსიკალური ანდეგრაუნდის, ბათუმის კინოფესტივალზე წარმოდგენილი დოკუმენტური ფილმების და მუსიკალური ჯგუფების შესახებ, რომლებთანაც ის მუშაობდა (Pink Floyd, Jimi Hendrix, Fairport Convention, Soft Machine), ასევე პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი მუსიკოსებისთვის

მარლენ ხუციევი (რუსეთი) - მასტერ კლასი

20 სექტემბერი, 12.00-14.00

ადგილმდებარეობა: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

რეზო ჭეიშვილი (საქართველო) - მასტერკლასი კინოდრამატურგიაში

20 სექტემბერი, 15.00-17.00

ადგილმდებარეობა: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი

იასემინ უსტაოგლუ - თურქეთი

21 სექტემბერი, 12.00-14.30

ადგილმდებარეობა: სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმის კონფერენს დარბაზი

ოთარ იოსელიანი (საქართველო) - მასტერ კლასი

21 სექტემბერი, 15.30-17.30

ადგილმდებარეობა: სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმის კონფერენს დარბაზი

საერთაშორისო კონკურსის პროგრამას ქვემოთ გაეცნობით. მას ხუთკაციანი ჟიური შეაფასებს: თავმჯდომარე - მარლენ კუციევი (რუსეთი), იასემინ ოსტიოგლუ (თურქეთი), ჯიმ სტარკი (აშშ), ვისლავ სავიენსკი (პოლონეთი), ლელა ოჩიაური (საქართველო).

ბათუმის კინოფესტივალის პროგრამა

გახსნის ფილმი - კუ! ქინ-ძა-ძა,გიორგიდანელია,რუსეთი. 2013 წ. 100 წთ.
დახურვის ფილმი - საუკეთესო შეთავაზება, ჯუზეპე ტორნატორე, იტალია/აშშ. 2013 წ. 124 წთ.

საერთაშორისო კონკურსი - მხატვრული ფილმების სექცია

1. **მინდორი ინგლისში,** ბენ უიტლი, დიდი ბრიტანეთი. 2013 წ. 90 წთ.
2. **ჩემი საბნის ნაკეცი,** ზაზა რუსაძე, საქართველო. 2013წ. 75 წთ.
3. **თოვლის მოსვლამდე,** ჰიშამ ზამანი, ნორვეგია/გერმანია/ერაყი, 2013 წ. 101 წთ.
4. **ცხიმკომბინატი,**მოჰამედშირვანი, ირანი, 2013 წ., 85 წთ.
5. **მეხუთე სეზონი,** პიტერ ბროსენსი/ჯესიკა ვუდვორთი, ბელგია/საფრანგეთი/ ჰოლანდია. 2012 წ. 93 წთ.
6. **გეოგრაფს გლობუსი შემოეხარჯა,** ალექსანდრ ველედინსკი, რუსეთი. 2013 წ. 100 წთ.
7. **მთელი ცხოვრება,** ასლი ოზგე, თურქეთი/გერმანია/ჰოლანდია. 2013 წ. 110 წთ.
8. **შეავსე სიცარიელე,** რამა ბურნშტაინი, ისრაელი. 2012 წ. 90 წთ.
9. **ფარაჯანოვი,** სერჟ ავედიკიანი& ელენა ფეტისოვა, უკრაინა/საფრანგეთი/საქართველო/სომხეთი. 2013 წ. 95 წთ.
10. **მეოთხე შვილი,** ვაჰიდ მუსაიანი, ირანი. 2013წ. 93 წთ.

საერთაშორისო კონკურსი - დოკუმენტური ფილმების სექცია

1. **მკვლელობის აქტი,** ჯოშუა ოფენჰაიმერი, დანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი. 2012წ. 159 წთ.
2. **ცუდი ბიჭი - განსაკუთრებული რეჟიმის საკანი,** იანუშ მროზოვსკი, საფრანგეთი, პოლონეთი. 2012წ. 78 წთ.
3. **ბალკანური სული,** ჰერმან ვასკე, გერმანია. 2012წ. 80 წთ.
4. **სისხლისმიერი ძმა,** სტივ ჰუვერი, აშშ. 2013 წ. 92 წთ.
5. **ინგლისურის მასწავლებელი,** ნინოორჯონიკიძე, ვანოარსენიშვილი, საქართველო. 2012წ. 56წთ.
6. **ხუთი გატეხილი კამერა,** ემად ბურნატი/გი დავიდი/პალესტინა, საფრანგეთი/ ისრაელი/ჰოლანდია. 2012 წ. 90 წთ.
7. **კაცი, რომელმაც ანგელოზებს ფრენა ასწავლა,** ვიქტორია შჟიმანსკა, დიდი ბრიტანეთი/საფრანგეთი/პოლონეთი. 2013წ. 64 წთ.
8. **მილსადენი,** ვიტალი მანსკი, რუსეთი/გერმანია/ჩეხეთი. 2013წ. 116 წთ.
9. **Pussy Riot- პანკების ლოცვა,** მაიკ ლერნერი, მაქსიმ პოზდოროვკინი, რუსეთი/დიდი ბრიტანეთი. 2013წ. 86 წთ.

საერთაშორისო კონკურსი - მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექცია

1. ექიმი, გიორგი თოდრია, საქართველო, 2013; 25 წთ.
2. **აუთსაიდერი,** გიორგი ქავთარაძე, საქართველო. 2013წ. 36 წთ.
3. ამანათი ათენიდან, ქეთი გიგალაშვილი, საქართველო, 2012 წ., 12 წთ.
4. ანტონ ფირკლიკო, მათიას სტაუბ, შვეიცარია, 2013 წ., 29 წთ.
5. **ოცნების გოგონა,** ოლივერ შვარცი, შვეიცარია. 2012წ. 20 წთ.
6. **F5,** ტიმოთე ჟალნინი, რუსეთი. 2012წ. 33 წთ.
7. მამა, აინურ ისმაილოვა, ყაზახეთი, 2013 წ., 20 წთ.
8. ***ღამე მშვიდობისა,***მურიელ დანსემბურგი, დიდი ბრიტანეთი. 2013 წ.24 წთ.
9. ჰოლივუდის ფილმი, ვოლკერ შნეირი, გერმანია, 2012 წ. 7 წთ.
10. კოან, ომარ რაბუნალი, ესპანეთი, 2013 წ., 15 წთ.
11. კუნძული, რომელიც დნება, ფარიზ ახმედოვი, აზერბაიჯანი, 2013 წ., 26 წთ.
12. **მირუნა,** პიოტრ სულკოვსკი, პოლონეთი. 2012წ. 20 წთ.
13. ორ საათზე მეტი, ალი ასგარი, ირანი, 2013; 15 წთ. .
14. **დედა,** ლუკაშ ოსტალსკი, პოლონეთი. 2012 წ. 30 წთ.
15. **არავითარი თმა, არავითარი პარანოია,** კურო როდრიგეს ვილალბა, ესპანეთი/აშშ. 2013წ. 17 წთ.
16. **50კგ,** მარია არტემენკო, უკრაინა. 2013წ. 13 წთ.
17. **ახლა და სამუდამოდ,** თალ ჰარინგი, ისრაელი/პალესტინა. 2012წ. 18 წთ.
18. **ერთხელ კალვიაში,** ეერო ლეჰტინენი, ფინეთი. 2013წ. 15 წთ.
19. **გადარჩენა,** ნიკონ რომანჩენკო, უკრაინა. 2013.წ. 16 წთ.
20. მარტოობა, დიმიტრი დედოკ, ბელორუსია, 2013 წ., 22 წთ.
21. **სტუდია ბეირუთი ,** მოხთარ ბეირუთი, ლიბანი. 2013წ. 15 წთ.
22. ისუნთქელრმად, ბაშაკ ბუიუკჩელენ, თურქეთი, 2013 წ., 8 წთ.
23. **შთაგონების ძიებაში,** ეშლი მაიქლ ბრიგსი, დიდი ბრიტანეთი. 2013წ. 9 წთ.
24. **აურზაური,** ჯონი ბერინგტონი, დიდი ბრიტანეთი. 2013წ. 13 წთ.

ჟიური

1. **1. განსაწმენდელი (სადღაც შუაში),** იეშიმ უსტაოლლუ, თურქეთი. 2012 წ. 124 წთ.
2. **მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს,** თინათინ გურჩიანი, საქართველო/გერმანია, 2012წ. 97 წთ.
3. **გამარჯვებული,** ვიესლავ სანიევსკი, პოლონეთი/აშშ, 2011 წ., 111 წთ.

ქართული პანორამა

1. **არა მეგობარო,** გიო მგელაძე, საქართველო, 1993 წ. 25 წთ.
2. **იმაგო მუნდი,** გიო მგელაძე, საქართველო, 2013 წ. 10 წთ.
3. **ლაგუნა ვერე,** დათო უჯმაჯურიძე, საქართველო, 2013 წ. 25 წთ.
4. **ღვინის აკვანი,** მერაბ კოკოჩაშვილი, საქართველო, 2013 წ. 60 წთ.

დიდოსტატების კოლექცია

1. **უსასრულოდბრუნება,** კირამურატოვა, უკრაინა. 2012 წ. 114 წთ.
2. **გოგონა და სიკვდილი,** იოს სტელინგი, გერმანია, ჰოლანდია, რუსეთი. 2012 წ. 127 წთ.
3. **დიდოსტატი,** ვონგკარვაი, ჰონ-კონგი/ჩინეთი/აშშ. 2013 წ. 120 წთ.
4. **უდიდესი სილამაზე,** პაოლო სორენტინო, იტალია, საფრანგეთი. 2013 წ. 142 წთ.
5. **პიეტა,** კიმ კი-დუკ,კორეა. 2012წ. 104 წთ.
6. **ახალგაზრდა და მშვენიერი,** ფრანსუა ოზონი, საფრანგეთი. 2013 წ. 95 წთ.
7. **ვალესა - იმედის ადამიანი,**ანჟეი ვაიდა, პოლონეთი, 2013 წ. 128 წთ.

ფოკუსი დიდ ბრიტანეთზე

1. **ბრიტანული ამპარტავნების სახელმძღვანელო,** ჯესბენსტოკი, დიდი ბრიტანეთი. 2011წ. 98 წთ.
2. **ნასესხები დრო,** ჯულ ბიშოპი, დიდი ბრიტანეთი. 2012 წ. 86 წთ.
3. **სიყვარულის მბრძანებელი,** მაიკლ უინტერბოტომი, დიდი ბრიტანეთი/აშშ, 2013 წ. 101 წთ.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020074

შემსყიდველი	თიანეთის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება
ტენდერის გამოცხადების თარიღი	12.09.2013 15:50
წინადადებების მიღება იწყება	17.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	19.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	369 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეტ სატენდერო დოკუმენტაცია და მისი დანართი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 7 დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3 ლარი
გარანტიის ოდენობა	4 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019988

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 17:49
წინადადებების მიღება იწყება	27.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	02.10.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	590000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	77200000-სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	77231400-ტყის ინვენტარიზაცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	მომსახურების I ეტაპის დასრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით. მომსახურების საბოლოო დასრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2360 ლარი
გარანტიის ოდენობა	5900 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019992

შემსყიდველი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 18:01
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03400000-მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03413000-საწვავი ხის მასალა (შეშა)
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	130 კბ. მეტრი
მოწოდების ვადა	30 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	115 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019966

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 16:58
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.09.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	38300000-საზომი ხელსაწყოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	38300000-საზომი ხელსაწყოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ერთიანად/ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	35 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019967

შემსყიდველი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 17:01
წინადადებების მიღება იწყება	13.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.09.2013 17:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	540 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15300000-ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15321000-ხილის წვენები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილით ცატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2 ლარი
გარანტიის ოდენობა	5 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020010

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 20:24
წინადადებების მიღება იწყება	28.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	03.10.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	67790 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები, 33140000-სამედიცინო სახარჯი მასალები, 33141110-შესახვევი მასალები, 33141200-კათეტერები, 33141310-შპრიცები . . .
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდეო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდეო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	271 ლარი
გარანტიის ოდენობა	678 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020007

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 20:11
წინადადებების მიღება იწყება	28.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	03.10.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3950 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები, 33690000-სხვადასხვა სამედიცინო პროდუქცია, 33696000-რეაქტივები და კონტრასტული ნივთიერებები, 33696500-ლაბორატორიული რეაქტივები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდეო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდეო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	16 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020008

შემსყიდველი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	11.09.2013 20:11
წინადადებების მიღება იწყება	29.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.10.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1870 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	18 ლარი
გარანტიის ოდენობა	19 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

თავისუფლები და კლასიკოსები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადნენ

პირველი გვერდიდან

მინისტრმა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა მოჭიდავეთა გუნდის ახალბედა წევრებს ნაკრების ეკიპირება და სპორტული ინვენტარი გადასცეს და უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე (16-22 სექტემბერი) წარმატებები უსურვეს.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები დასკვნით შეკრებას ბორჯომის სპორტკომპლექს „ილიმპში“ 2 სექტემბრიდან გადიან. მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაცია ორ ეტაპად გაემგზავრება. თავდაპირველად უნგრეთის დედაქალაქისკენ გეზს აიღებენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, რომლებსაც ასპარეზობები 16 სექტემბრიდან უწევთ, ბერძენ-რომაელები კი მსოფლიო ჩემპიონატზე ორი დღით გვიან გაემგზავრებიან. მათ შემთხვევაში აპარეზობები 20 სექტემბრიდან გახურდება.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების მწვრთნელებმა რევაზ მინდირაშვილმა და ოთარ ტატიშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემადგენლობა საქართველოს თასზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით დააკომპლექტეს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, სადაც მსოფლიო ჩემპიონობისთვის მოქმედი ევროპის ჩემპიონები და მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრები გიორგი ედიშერაშვილი და დავით მარსაგიშვილი, ასევე ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი იბრძოლებენ. ჭიდაობის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ მძიმეწონაში ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორ გენო პეტრიაშვილზეც, რომელსაც დიდებში ამ რანგის ასპარეზობათა დებიუტი ელის.

თავისუფლებისგან განსხვავებით გადახალისებული გუნდით წარსდგება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, რომელშიც ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსან რევაზ ლაშხთან ერთად ექვსი ახალბედაა. ისიც ვთქვათ, რომ ქართველი ბერძენ-რომაელებიდან მსოფლიო რეიტინგის პირველ საფეხურზე არავინაა. მათ შემთხვევაში მოწინავეთა სამეულში მესამე საფეხურით მხოლოდ რევაზ ნადარეიშვილია (84 კგ.), რომელიც ნაკრებს მიღმა დარჩა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები

55 კგ.
გიორგი ედიშერაშვილი
60 კგ.
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
66 კგ.
ლევან ქელეხსაშვილი
74 კგ.
იაკობ მაქარაშვილი
84 კგ.
დავით მარსაგიშვილი
96 კგ.
დავით ქერაშვილი
120 კგ.
გენო პეტრიაშვილი
მწვრთნელი: რევაზ მინდორაშვილი

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები

55 კგ.
ბაჩანა ფუტკარაძე
60 კგ.
რევაზ ლაშხი
66 კგ.
საჩინო დავითაია
74 კგ.
ილია გულბათაშვილი
84 კგ.
გიორგი ცირეკიძე
96 კგ.
ვასილ იმერლიშვილი
120 კგ.
ლევან არაბული
მწვრთნელი: ოთარ ტატიშვილი

დე ლა ჰოია - კლინიკაში, მეივეზერი VS ალვარესი - რინგზე

გიგა გურასაშვილი



ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი და დღეს უკვე პროფესიული კრივის ამერიკელი ლეგენდა ოსკარ დე ლა ჰოია სარეაბილიტაციო ცენტრში მოხვდა. და ეს მაშინ, როდესაც რინგზე ერთმანეთის პირისპირ უნდა წარდგნენ მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეთა რეიტინგების ლიდერი, დღემდე დაუმარცხებელი ამერიკელი ფლოიდ მეივეზერ უმცროსი (44 მოგება, აქედან 26 ნოკაუტით) და ასევე დაუმარცხებელი პირველ საშუალო წონაში, კრივის მსოფლიო საბჭოსა (WBC) და ასოციაციის (WBA) ჩემპიონი, მექსიკელი საულ „კანელო“ ალვარესი (42 მოგება, აქედან 30 ნოკაუტით და ერთი ფრე). საქმე ის არის, ამერიკელისა და მექსიკელის მატჩის ორგანიზატორი დე ლა ჰოიას საპრომოუტერო კომპანია Golden Boy Promotions-ია. ცნობილია, რომ „ოქროს ბიჭუნა“, როგორც მას ძველი წარმატებებისთვის უწოდეს, ბრძოლას ვერ დაესწრება, რადგან სარეაბილიტაციო ცენტრში ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო მკურნალობენ.

ეს განაჩენი დე ლა ჰოიამ თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს, როდესაც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო თავისი ნებით წავიდა კლინიკაში. როგორც ამბობს, «სენთან გამკლავება მინდაო“.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დე ლა ჰოია ასეთ კურსს გადის. ამ მიზეზით სარეაბილიტაციო ცენტრს 2011 წელსაც მიაკითხა.

„მატჩს ვერ დავესწრები და კანელოს ვერ ვუგულშემატკივრებ, რადგან ჩემი ნებით ვწვები სამკურნალო დაწესებულებაში, - ამბობს დე ლა ჰოია. - ეს ავუხსენი კანელოს და მანაც გამიგო, რომ ჩემი ჯანმრთელობა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ახლა ყველაზე მთავარია. გთხოვთ მხარი დამიჭიროთ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ამ მეტად რთულ დროს“.

ოსკარ დე ლა ჰოიას მეივეზერთანაც აქვს მატჩი ჩატარებული - 2007 წელს, ლას ვეგასში, იმავე რინგზე, სადაც შაბათის ბრძოლაა დანიშნული, მეივეზერთან 12-რაუნდიან დაპირისპირებაში მსაჯთა დათვლებით წააგო. მას შემდეგ „ოქროს ბიჭუნა“ 2008 წელს ორჯერ ავიდა რინგზე - ერთხელ ამერიკელ სტივ ფორბსთან, რომელსაც ასევე მსაჯთა გადაწყვეტილებით მოუგო და ფილიპინელ მენი პაკიაოსთან, რომელთანაც მერვე რაუნდში წაგებით კარიერას დაუსვა წერტილი.

შაბათს ლას ვეგასის MGM Grand-ზე რამდენიმე მატჩია დანიშნული, მაგრამ მათ შორის მთავარი მეივეზერისა და ალვარესის შეხვედრაა.

ამასობაში ირკვევა, რომ ფულზე დაგეშილ მეივეზერ უმცროსს, რომელსაც მეტსახელად „მანი“ შეარქვეს, კრივის ისტორიაში ყველაზე დიდი გარანტირებული ჰონორარი ექნება - 41,5 მილიონი დოლარი! PPV-ის (მატჩის ხილვის მსურველთა მხრიდან საკაბელო ტელევიზიისთვის გადახდილი თანხა) წარმატებით გაყიდვის შემთხვევაში, მეივეზერმა, შესაძლოა, დე ლა ჰოიას რეკორდიც კი მოხსნას. საუბარია ერთ მატჩში გამომუშავებულ საერთო თანხაზე, რომელიც ოსკარის შემთხვევაში 52 მილიონს შეადგენს.

საულ ალვარესის შემთხვევაში (ხელშეკრულების თანახმად) გარანტირებული ჰონორარი 5 მილიონი დოლარია, მაგრამ როგორც კრივის ორთაბრძოლათა მიმომხილველი დენ რაფაელი ამბობს, მექსიკელს, PPV-ის წყალობით, შთამბეჭდავი პროცენტები აქვს გარანტირებული, რაც მის საბანკო ანგარიშს 12 მილიონით გაზრდის.

მალდინის რჩეული მწვრთნელები

„მილანის“ ლეგენდარული ფეხბურთელი პაოლო მალდინი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელებს შორის არიგო საკის, ფაბიო კაპელოსა და კარლო ანჩელოტის დაასახელებდა.

„ეჭვგარეშეა, ეს სამეული დიდებულია. ისინი წერდნენ ფეხბურთის ისტორიას. საკიმ მასწავლა დაცვაში თამაში და ორგანიზებულად შეტევა, მასწავლა მოედანზე თავგანწირვა; კაპელომ მასწავლა ყველაფრის ავტომატიზმამდე მიყვანა, რაც ერთდროულად იოლიც არის და ძნელიც. ანჩელოტი კი ამ ორი დიდი მწვრთნელის ნაზავია. ანჩელოტიმ ფეხბურთელობისას ბევრი ისწავლა საკისგან“, - განაცხადა მალდინიმ.

იოზილი „არსენალში“ წარადგინეს

ლონდონის „არსენალმა“ თავისი გულშემატკივრის წინაშე საზეიმოდ წარადგინა გუნდის ახალწვეული და კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი მესუთ იოზილი, რომლის სანაცვლოდ ლონდონელებმა მადრიდის „რეალს“ 50 მილიონი ევრო გადაუხადეს.

„დარწმუნებული ვარ, არსენ ვენგერი კიდევ უკეთეს ფეხბურთელად მაქცევს. მწვრთნელის ნდობა ფეხბურთელზე დადებითად მოქმედებს“, - გუშინდელი პრეზენტაციისას განაცხადა იოზილმა.

თავის მხრივ, „მეთოფეების“ ფრანგმა დამრიგებელმა არსენ ვენგერმა აღნიშნა, რომ იოზილი „არსენალის“ ერთ-ერთი ლიდერი გახდება.

ასევე ცნობილია, რომ გერმანელი ლეგიონერი „არსენალში“ 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

კლოზეს მთავარი მიზანი მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაა

გერმანიის ნაკრებისა და რომის „ლაციოს“ თავდამსხმელის, მიროსლავ კლოზეს თქმით, ბრაზილიის საგაისო მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების მიზანი ჩემპიონობა იქნება.

„მომავალ ზაფხულს ჩემთვის პიორიტეტი მუნდიალის მოგებაა. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. რა თქმა უნდა, თასის მოგების გარანტიას ვერავის მივცემთ, რადგან, ჩვენ გარდა, იგივე ამოცანა კიდევ რამდენიმე ნაკრებს აქვს დასახული. ასეა თუ ისე, სულ არ მეშინია მათი კონკურენციის“, - «ბილდთან“ საუბარში თავდაჯერებულია კლოზე და იმასაც ამხელს, რომ მისით ამერიკის ლიგის ორი კლუბია დაინტერესებული.

...35 წლის ფორვარდმა ეროვნულ ნაკრებში უკვე 68 გოლი გაიტანა.

რანიერის თქმით, „მონაკოს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია

„მონაკოს“ იტალიელი დამრიგებელი კლაუდიო რანიერი ფრანგულ პრესასთან საუბარში კლუბის სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

მისი თქმით, ლიგა 2-დან დაბრუნებული გუნდის მთავარი ამოცანა ელიტაში მედლებისთვის ბრძოლა იქნება.

„მონაკო“ „პარი სენ-ჟერმენი“ არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა არ გვინდა. „მონაკოს“ წარმატების უნარი შესწევს. ეს კლუბი იმიტომ ამოვარჩიე, რომ გუნდში ყველაფრის ჩემებურად აწყობა მინდოდა - თავიდან ბოლომდე. კარიერაში ყოველთვის ისეთ კლუბებს ვარჩევდი, სადაც გუნდის მშენებლობისთვის დრო და უფლება მეძლეოდა“, - თავის მიდგომაზე საუბრობს რანიერი.

გარეთ ბეილის „რეალის“ ბაზაზე რონალდო შეეგება

ლონდონის „ტოტენჰემიდან“ აქამდე არნახულ ფასად - 100 მილიონ ევროდ შეძენილი უელსელი გარეთ ბეილი მადრიდის „რეალის“ ბაზაზე პირველად გამოცხადდა.

24 წლის ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელს აქამდე ყველაზე ძვირად ღირებული 28 წლის პორტუგალიელი კრიშტიანო რონალდო ბაზის კართან შეეგება (პორტუგალიელში თავის დროზე 94 მილიონი გადაიხადეს). ასე რომ, ჯამში ორივეს ფასი 194 მილიონი ევროა.

სამეფო კლუბის ახალშენაძენმა თანაგუნდელებთან მსუბუქად ივარჯიშა. გულშემატკივარს კი ცნობისმოყვარეობა ჰკლავს, აინტერესებს, ხვალ „რეალისა“ „ვილიარეალის“ დაპირისპირებაში იხილავენ თუ არა გარეთ ბეილის.

ამასობაში უელსის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი იან რაში თანამემამულეს ესპანური ენის შესწავლისკენ მოუწოდებს: „როდესაც „იუვენტუსში“ გადავედი, იტალიური ენის შესწავლას ექვსი თვე მოვანდომე. ბეილი ესპანურ კულტურას უნდა გაეცნოს და ენაც სწრაფად შეისწავლოს, რათა მასში გადახდილი რეკორდული თანხა გადაყრილი არ აღმოჩნდეს. როდესაც ფეხბურთელი ხარ, ფეხბურთი შენთვის ყველაფერია, მაგრამ არანაკლებია ენის ცოდნა, რომელიც საკუთარი თავის შესაძლებლობების წარმოჩენაში დიდ სამსახურს გიწევს“.

ვეტერანი უელსელი იმასაც აღნიშნავს, რომ გარეთ ბეილი სათანადო ფიზიკურ ფორმაში არ არის და „ვილიარეალთან“ მატჩში საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ წარმოაჩენს.

ტომას ბახი სოკის ახალი პრეზიდენტია

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ-ი) ახალი პრეზიდენტი ჰყავს - გერმანელი იურისტი ტომას ბახი. ის ამ თანამდებობაზე არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში, სოკის 125-ე სესიაზე აირჩიეს. ტომას ბახი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მომდევნო 8 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი, 2021 წელს, უფლება ექნება პრეზიდენტობის კიდევ ერთ, ამჯერად უკვე 4-წლიან ვადაზე იყაროს კენჭი.

პრეზიდენტის პოსტზე ტომას ბახი ბელგიელ ჟაკ როგს შეცვლის, რომელიც ამ თანამდებობაზე 12 წლის განმავლობაში მუშაობდა. ბახის გარდა, სოკის საპრეზიდენტო არჩევნებში უკრაინელი სერგეი ბუბკა, პუერტორიკოელი რიჩარდ კერიონი, ტაივანელი ჩინგ კუო ვუ, სინგაპურელი სერ მიანგ ნგი და შვეიცარიელი დენის ოსვალდი მონანილობდნენ.

«თქვენი მხარდაჭერით ძალიან ბედნიერი ვარ! საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას, ვეცდები ორგანიზაცია გახდეს ერთიანი და მრავალფეროვანი - ეს ჩემი მთავარი მიზანია!» - განაცხადა 59 წლის ბახმა, რომელიც სოკ-ის 119-წლიან ისტორიაში ორგანიზაციის მეცხრე პრეზიდენტია.

ბახი წლების განმავლობაში კომპანია «ადიდასის» აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ, 1991 წელს კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაწევრიანდა და მას შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი თანამდებობაც ეკავა.

ბახი ოლიმპიური ჩემპიონიცაა: 1976 წელს, მონრეალში, მოფარიკავეთა ნაკრებთან ერთად მოიგო ყველა სპორტსმენისთვის საოცნებო ჯილდო. ერთი წლის შემდეგ, 1977 წელს ბუენოს აირესში ბახმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

სამინისტროს პრესსამსახური

გიორგი ხიდეშელი: „გურიასთან" მატჩს ძალიან ყურადღებით ვეკიდებით"

ქუთაისის «ტორპედოში" ჩარიცხვიდან გიორგი ხიდეშელმა მეორე ოფიციალურ მატჩში შეძლო გოლით თავის გამოჩენა, რითაც რიონისპირელებს გამარჯვებაც მოაპოვებინა და საკუთარი ხანგრძლივი «მშრალი" სერიაც შეწყვიტა. ჩვენი გუნდის ტანმაღალ ცენტრალურ მცველს გასული და დამდეგი მატჩების შესახებ ვესაუბრეთ.

გიორგი ხიდეშელი: «მიხარია რომ, რომ 2-წლიანი შესვენების შემდეგ, რაც მეტწილად ტრავმით იყო გამოწვეული, გოლის გემო გავიხსენე, რაც ფსიქოლოგიური კუთხით ძალიან დამეხმარება სამომავლოდ. ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩემი შედეგიანი დარტყმით ზედიზედ მეორე გასვლითი თამაში მოიგო «ტორპედომ". «სპარტაკთან" გამარჯვებამ თავდაჯერებულობაც შეგვმატა, ვეცდებით, რომ მომავალ თამაშებშიც კარგად გამოვიყურებოდეთ და ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დავიკავოთ, მართალია, ჯერ ყველაფერი ნაადრევია, თუმცა სტარტის კვალობაზე ჩვენს შედეგებს დადებითად შევაფასებ. იმედია, როგორც სტარტით არ ვართ უკმაყოფილო, ასევე, მთლიანად ჩემპიონატითაც ვიქნებით.

რაც შეეხება მომდევნო თამაშს, «გურია" ქუთაისში კარგ განწყობაზე ჩამოვა. მნიშვნელოვანი მატჩი იქნება ჩვენი გულშემატკივრების წინაშე. ძალიან ყურადღებით ვეკიდებით ამ თამაშს და მოტივირებულები ვართ, რომ 3 ქულა ავიღოთ".

fctorpedo.ge

ჰიკMAN

ზურა თალაკვაძე

რიკი ჰიკმენი

შემონდ უილიამსი ევროამბებში პელე იყო. ტაირონ ელისი საქმეს მაღალ დონეზე და მშვიდად აკეთებდა. ამ გენერაციის ახალი ლეგიონერი, მისტერ რიკი ჰიკმენი სტაბილურად სტაბილური არ იყო და დაიღალა. ჰიკმენთან ერთად საქართველოს ნაკრებიც დაიღალა და ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორი აკორდი ცოტა ცუდი, მძიმე მისაღები იყო. ნაკრები ვერ იგებდა და ნაკრები სურვილს ვერ იკმაყოფილებდა. ნაკრებს მაგრად უნდოდა გაქცევა და იდგა. იდგა ჰიკმენიც და საქართველოს ნაკრების ახალმა ამერიკელმა ერთ ევრობასკეტზე ორი ევრობასკეტი გაშანსა. პირველი - კარგი, დასვენებული და სანდო. მეორე - დაღლილი. ჰიკმენთან ერთად იღლებოდა ბურთიც და ჰიკმენი არ იყო რეალური ჰიკმენი. პასი, გახსნა და დაგვიანებული სროლა. პასი, გახსნა და დაგვიანებული პასი. ბოლო ორ თამაშში მისტერ ჰიკმენმა ვერ შეასრულა და რიკიმ მანამდე ითამაშა. თითქმის ის კალათბურთი, რაც მისგან „მაკაბიში" დევიდ ბლატმა მიიღო. იგორ კოკოშკოვმა სერიული, ფრაგმენტული ამერიკელი დაიტოვა. და რიკი ჰიკმენი ყველა შემთხვევაში უნდა დარჩეს.

გაასწორა. ჰიკმენი კოკოშკოვის ჯაზზი ყველაზე კარგი მოსასმენი იყო. და ის თამაში წავაგეთ. ის თამაში ჰიკმენის სროლით უნდა მოგვეგო და რიკიმ ბოლო ბურთი ვერ მიიღო.

სლოვენიასთან ჰიკმენის ამერიკული ამბები საჭირო არის. რიკი იყო მოქნილი მანგუსტი. აი, ის, რედიარდ კიპლინგის გემრიელ რომანში კობრებს რომ ჩაგრავს. რიკი იყო ტერორისტი და რიკი იყო სანდო. კოკოშკოვის გუნდს სლოვენიამ მოუგო. და სლოვენიას მსაჯებმა ორი ჯოკერი დაურიგეს. ჩვენი ჯოკრები. და სლოვენიამ ჯოკრებით გადაჯოკრა. ჰიკმენმა შეასრულა. 19 ქულა 26 წუთში. და 7 მოხსნა. და 6/5 ზუსტი საჯარიმო. ჰიკმენი დონი იყო. კოკოშკოვის ოჯახის შოკოლადის დონი.

დაიწყო ჩეხეთი და წავიდა ცუდი ეპიზოდების სერია. ჰიკმენი ვერ ამერიკელობს და რიკიმ დაღლილი მაჯით ცუდად ისროლა. ჩეხეთთან ჰიკმენმა კოკოშკოვისგან 26 წუთი წამოიღო. და ჩეხეთმა დაგვლეწა. ის ჩეხეთი იმ საქართველოს ყველა ვარიანტში მოუგებდა. დაღლილები ვიყავით. 4 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 3 შეცდომა. მოკლედ, არ იყო რა კარგი.

ესპანეთთან ჰიკმენი არ ჩანდა. იქ ჩვენი ტურნირი დახურული იყო. ცოტა ხნით წინ გავედით. ცოტა ხნით ვიგებდით და ესპანეთმა ყური აგვიწია. და ჰიკმენმა ტურნირი 7 ქულით, 5 მოხსნით, დაცლილი თვალებით დაამთავრა. ცუდია, რომ რიკი ცუდი იყო. და ჰიკმენმა „ბრავო" დაიმსახურა. ბრავო!

რიკის ევრობასკეტი - **27.0** წუთი, **11.8** ქულა, **4.4** მოხსნა, **1.6** პასი, **1.0** ჩაჭრა, **15/5** სამიანი. ნორმალური სტატისტიკა ძალიან კარგი მსროლელისგან.

რომელიც უნდა დარჩეს.

შემონდ უილიამსი ევროამბებში პელე იყო. ტაირონ ელისი საქმეს მაღალ დონეზე და მშვიდად აკეთებდა. რიკი ჰიკმენი სტაბილურად სტაბილური არ იყო და ბოლოში დაიღალა. ჰიკმენთან ერთად საქართველოს ნაკრებიც დაიღალა და ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორი აკორდი ცოტა ცუდი, მძიმე მისაღები იყო. ნაკრები ვერ იგებდა და ნაკრები სურვილს ვერ იკმაყოფილებდა. ნაკრებს მაგრად უნდოდა გაქცევა და იდგა. იდგა ჰიკმენიც და საქართველოს ნაკრების ახალმა ამერიკელმა ერთ ევრობასკეტზე ორი ევრობასკეტი გაშანსა. პირველი - კარგი, დასვენებული და სანდო. მეორე - დაღლილი. ჰიკმენთან ერთად იღლებოდა ბურთიც და ჰიკმენი არ იყო რეალური ჰიკმენი. პასი, გახსნა და დაგვიანებული სროლა. პასი, გახსნა და დაგვიანებული პასი. ბოლო ორ თამაშში მისტერ ჰიკმენმა ვერ შეასრულა და რიკიმ მანამდე ითამაშა. თითქმის ის კალათბურთი, რაც მისგან „მაკაბიში" დევიდ ბლატმა მიიღო. იგორ კოკოშკოვმა სერიული, ფრაგმენტული ამერიკელი დაიტოვა. და რიკი ჰიკმენი ყველა შემთხვევაში უნდა დარჩეს.

სასკოლო სახელმძღვანელოები საგამოცდო ფასში

აბიტურიენტები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან"
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33